ხელშეკრულება №2288/281
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. თბილისი 21 სექტემბერი 2012 წელი

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**, (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ჟღენტის სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ჯიტეკი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ყიფიანის სახით ვხემძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჭიროებისთვის კომპიუტერებისა და მარაგ-ნაწილების შესყიდვა დანართი №1–ის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. **CPV 30200000** კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი, **CPV** 32400000 ქსელები, **CPV** 44300000 კაბელი, მავთული და მათთან დაკავშირებული მასალები, **CPV 44500000** ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორები

3.3. გამარტივებული შესყიდვა, საფუძველი: **2012** წლის **19** სექტემბრის **N1774** საქართველოს **მთავრობის განკარგულება;**

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. საქონლის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.2. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **2695,53** (ორიათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 53 თეთრი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

5. საქონლის შესყიდვის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ახალი საქონლის მიწოდება.

6. საქონლის შესყიდვის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

6.1. შესყიდვის საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 30 სექტემბრამდე.

6.2. შესყიდული საქონლის მიწოდების ადგილია: . თბილისი, თამარაშვილის 15ა

6.3. შესყიდვის საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი [illegible]

7. საქონლის შესყიდვის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება არაუგვიანეს 3 დღისა საქონლის მიწოდებიდან.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

8.2 შესყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება – ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20 საბანკო დღის ვადაში.

8.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 25 ოქტომბრამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ჯულიეტა ჯიშკარიანი.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ჟღენტი	შ.პ.ს. „ჯიტეკი“ მის : თამარაშვილის 13ა ს.კ 205204438 ტელ : 913456, 913457 ელ. ფოსტა info@gitec.ge სს „თი ბი სი ბანკი“ საბურთალოს ფილიალი ბ.კოდი : 220101838 ა/ა GE21TB1946436080100002 დირექტორი გიორგი ყიფიანი

2012 წლის 21 სექტემბრის 2288/281 ხელშეკრულების დანართი # 1

საქონლის კოდი	დასახელება	რაოდენობა	CPV კოდი	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
HP-635-A1E32EA	Notebook HP 635 A1E32EA E-300 15.6 2GB 320GB პორტატული კომპიუტერი	2	30213100	699	1 398
UTP-PC0.5	UTP Patch Cord 0.5m cat5e კომპიუტერის შემაერთებელი ქსელური კაბელი	200	32421000	1,50	300
UTP-PC1.5	UTP Patch Cord 1.5m cat5e კომპიუტერის შემაერთებელი ქსელური კაბელი	25	32421000	2,50	62,50
DC-ALTA-9	DEEPCOOL ALTA 9 Intel LGA 1156/1155/775 პროცესორის გამაგრილებელი (ქულერი)	1	30211500	25	25
SG-1T-SATA	Seagate BARRACUDA 7200.11 1TB ST1000DM003 32MB 7200rpm 6 Gbps კომპიუტერის მყარი დისკი	2	30213400	205	410
SG-500-SATA	HDD 3,5" SATAII 500GB SEAGATE ST3500418AS 7200rpm 16MB კომპიუტერის მყარი დისკი	2	30213400	137	274
TD-S105	Network Switch 5port S105 ქსელის გამანაწილებელი	2	32423000	17	34
AVP-UTP305	UTP CCA 0.5mm, 24 AWG White Cable ქსელის კაბელი	1.164	32421000	52	60,53
IT-RJ45	Connector UTP RJ45 კაბელის შემაერთებელი	50	44322200	0,15	7.50
TL-SG1008D	TP-Link TL-SG1008D 8-port Gigabit Desktop Switch ქსელის გამანაწილებელი	2	32423000	52,00	104
UTP-Crimp-1061	UTP Crimping Tool CSP-1061 ქსელის ხელსაწყო	1	44511000	20	20
სულ ჯამი					2695,53

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ულენტი	შ.პ.ს. „ჯიტეკი“ მის : თამარაშვილის 13ა ს.კ 205204438 ტელ : 913456, 913457 ელ. ფოსტა info@gitec.ge სს „თი ბი სი ბანკი“ საბურთალოს ფილიალი ბ.კოდი : 220101838 ა/ა GE21TB1946436080100002 დირექტორი გიორგი ყიფიანი